ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!
# 48 (9938) • 19 dekemberi • 2011 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## საქართველოს პრეზიდენტმა რეგიონალური მომსახურების სამედიცინო ცენტრი გახსნა

გაზეთი „ალიონი“



**გასულ პარასკევს, ქ. ოზურგეთში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ავერსის“ შვილობილი კომპანია „ალფას“კლინიკა გახსნა და გურიის აღორძინების ფონდის შექმნა გააჟღერა.**

ადგილობრივი გაზეთების ჟურნალისტები ამ საზეიმო რიტუალზე არავის მიუწვევია. პრეზიდენტის დაცვას რამდენჯერმე გაუჩნდათ კითხვა იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებსაც ცენტრალური ტელევიზიების მიკროფონები არ ეჭირათ, მათ შორის გაზეთ „ალიონისაც“.

პრეზიდენტის ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე, ოზურგეთის ქუჩებში გუნდ-გუნდად მიემართებოდნენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, საჯარო მოხელეები პრეზიდენტთან შესახვედრად. ხალხი მობილიზებული იყო შორეული სოფლებიდან, ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან. „ავერსის“ კლინიკის შესასვლელთან პრეზიდენტის დაცვა ყველას ამოწმებდა, სკოლის მოსწავლეებსაც კი. ჭიშკრის გადაღმა ისეთი ადამიანებიც იდგნენ, ადგილობრივ ხელისუფლებაზე რომ გამოთქვამდნენ საყვედურს და პრეზიდენტის ნახვას ითხოვდნენ.

**ქენია დოლიძე** - უსახლკაროდ ვარ. შვილი ავადმყოფი მყავს. 2009 წელს, როგორც უსახლკაროს 2500 ლარი გამომიყვეს. შევიძინეთ სამშენებლო მასალები, საწვავი, მაგრამ მცირე თანხით მშენებელმა საქმეს ხელი არ მოჰკიდა. წამლებში წავიდა დარჩენილი თანხა. როგორც სხვებს გაუკეთეს, ჩემთვისაც სრული თანხა უნდა გამოეყოთ.

**სევიე რამიშვილი**, დაბა ნასაკირალი:–შვილი აფხაზეთის ომში დამეღუპა, ორი ობოლი შვილიშვილი მყავს. პენსიაზე ვარ დამოკიდებული. დახმარება მესაჭიროება...

ჭიშკართან სხვებიც გამოთქვამდნენ საკუთარი გასაჭირის გამო საყვედურებს, ითხოვდნენ ეზოში შეშვებს, მაგრამ ამაოდ.

შემდეგ ქენია დოლიძე ცუდად გახდა. სასწრაფო დახმარების მანქანით ძველ საავადმყოფოში გააქანეს. სხვებიც მოაცილეს იქაურობას. დილით, ახალ კლინიკაში სამედიცინო პერსონალის ის ნაწილიც მივიდა, რომლებიც მიუხედავად პროფესიონალიზმისა და დამსახურებისა „რეფორმის“შედეგად შემცირებაში მოყვნენ, მაგრამ მათ ახალი კლინიკის ტერიტორია დაატოვებინეს.

ეზოში ვანისქედელ **შუშანა შავაძეს** შევხდით.

–მიშას უნდა შევხვდე, მადლობა მინდა გადავუხადო, მთისპირში სახლი რომ შემიძინეს.–გვითხრა მან.

ეზოში ბავშვები პრეზიდენტის მოსვლამდეც იძახდნენ „მიშა! მიშა!“

საქართველოს ჯანდაცვის მინიტრს ანდრეია ურუშაძეს ისე მოეწონა ბავშვების მონდომება, გვერდით მყოფს გადაულაპარაკა: ბავშვები ნამდვილად კარგი ნავარჯიშები არიან!

ჟურნალისტები „მედალფას“ ხელმძღვანელებს ესაუბრა:

**ზაზა ჯაფარიძე,** შპს „მედალფას“გენერალური დირექტორი:– საავადმყოფოს მშენებლობა და აპარატურის შეძენა 6 მილიონი დოლარი დაჯდა. ჰოსპიტალი გათვლილია 60 საწოლზე. აქ თავმოყრილია ყველა ის განყოფილება, რომლებიც გაბნეულნი იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებაში. აქ არის სტაციონალური, სასწრაფო მომსახურება, დიგნოსტიკური ცენტრი. აქ მოსული პაციენტი მიიღებს სრული მომსახურების სერვისს. აქ დღიურად 200-დან 300 პაციენტამდე მომსახურებაა შესაძლებელი.



**ლევან ანთაძე**, საავადმყოფოს დირექტორი:–საავადმყოფო გათვლილია 55 საწოლზე. აქ გვაქვს სტაციონარული მომსახურება; თერაპიული, ქირურგიული, სამეანოგინეკოლოგიური. გვაქვს კარგი რეანიმაცია. პირველად დაიდგა გურიაში ციფრული რენტგენი, არის შოკის დარბაზი, სხვა დანადგარები. ალბათ უახლოეს მომავალში მთელ გურიას მოვიცავთ სამედიცინო მომსახურებით.

ამ პერიოდში შვეულმფრენის ხმაც გაისმა. საქართველოს პრეზიდენტმა არაერთ ოზუ-

▶▶▶ გვ-2

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საერთო კრებამ მანდატის გაზრდის საკითხი ვერ გადაწყვიტა



საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მესამე საერთო კრება 17 დეკემბერს გაიმართა. კრებას კენჭი უნდა ეყარა საქმის წარმოების წესსა და წესდებაში შესატანი ცვლილებებისთვის. საბჭო ითხოვდა უფლებამოსილების გაზრდას, რაც მისცემდა შესაძლებლობას, განეხილათ იმ ჟურნალისტების მიმართ შესული განაცხადები, რომლებიც არ არიან ქარტიის ხელმომწერნი. წესდების თანახმად, აღნიშნულ ცვლილებას წევრთა ხმების 2/3 სჭირდება. ქარტიის 200-ზე მეტი ხელმომწერიდან კრებას მხოლოდ 87 ესწრებოდა, შესაბამისად, კვორუმის არ არსებობის გამო, კენჭისყრა არ ჩატარებულა.

17 დეკემბერს ქარტიის საბჭოს სამ წევრს ელისო ჩაფიძეს (გაზეთი „რეზონანსი"), თედო ჯორბენაძეს (გაზეთი „ბათუმელები") და ხათუნა გოგაშვილს (რადიო „ჰერეთი") უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ. მათ ნაცვლად ქარტიის ხელმომწერებმა ახალი წევრები აირჩიეს - დავით მჭედლიძე (www.media.ge), ნათია კუპრაშვილი (რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია) და ნათია როყვა ("ტელეარხი 25"). საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ, ერთი წლის ვადით, კვლავ ზვიად ქორიძე დაასახელეს.

კენჭისყრამდე, საბჭოს თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ ქარტიის წევრებს 2011 წლის მუშაობის შედეგები გააცნო. მისი თქმით, მიმდინარე წელს საბჭოში განსახილველად მოქალაქეთა მხოლოდ ხუთი განაცხადი შევიდა - ორი გაზეთ "პრაიმ ტაიმისა" და თითო-თითო ჟურნალ "ლიბერალის", გაზეთ "ბათუმელებისა" და თავად ზვიად ქორიძის წინააღმდეგ. საბჭომ დასაშვებად ცნო სამი საჩივარი, ერთი თავად განმცხადებელმა უკან გაიტანა , თავმჯდომარის წინააღმდეგ შესული განხადება კი არ განიხილა. ზვიად ქორიძეს ტელეკომპანია "მაესტროს" დამფუძნებელი მამუკა ღლონტი უჩიოდა გაზეთ "ვერსიისთვის" მიცემული ინტერვიუს გამო. საბჭომ მიიჩნია, რომ ქორიძე არ ასრულებდა ჟურნალისტურ საქმიანობას და საჩივარი არ ცნო დასაშვებად.

ქორიძის თქმით, მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ქარტიის ცნობადობის გაზრდა.

„მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფორუმი გავმართეთ, საბჭომ ვერ იმუშავა პრომოუშენის კუთხით, ვერ მოახერხა ვებ-გვერდის გააქტიურება და ყურადღება სოციალურ ქსელებზე გადავიტანეთ," - განაცხადა ქორიძემ, მისივე განცხადებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები "ინტერნიუსი-საქართველოსთან" და უახლოეს მომავალში შეიქმნება ქარტიის საიმიჯო რეკლამები.

ქარტიის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით რიგგარეშე სხდომა, შესაძლოა, 2012 წლის გაზაფხულზე ჩატარდეს.

**media.ge**

## დამტკიცებულია თუ არა ოზურგეთის ბიუჯეტი?

მარი კოძოევი



ამ კითხვით მივმართეთ მათ, ვინც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში უშუალოდ არიან ჩართულები.

კითხვა მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკრებულომ ბიუჯეტი დამტკიცებულად გამოაცხადა მაშინ, როცა დარბაზში, კენჭისყრის დროს 22 დეპუტატი იყო, აქედან ოთხმა ბიუჯეტის დამტკიცებახ ხმა არ მისცა. იმისათვის, რომ ბიუჯეტი დამტკიცებულად ჩაითვალოს მას საკრებულოს წევრთა რაოდენობის ნახევარმა უნდა დაუჭიროს მხარი.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ შემთხვევაში ბიუჯეტის დამტკიცებას მხოლოდ თვრამეტმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, როცა საკრებულოში სულ 38 დეპუტატია.

ხელისუფლებისა და იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც საკრებულოს წევრები არიან, შევეცადეთ გაგვეგო დამტკიცებულია თუ არა ოზურგეთის მთავარი ფინანსური დოკუმენტი.

საკანონმდებლო ორგანოში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბიუჯეტი სრული წესის დაცვით დამტკიცებულია.

–„რატომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კვორუმი არ იყო ჩემთვის გაუგებარია–" გვითხრა მმართველი პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე თემურ მოქიამ. ცხრამეტმა დეპუტატმა ხომ მისცა ხმა ბიუჯეტის დამტკიცებას? დაუსვა კითხა იქვე მყოფ საკრებულოს ადმინისტრაციის უფროსს პაატა ბურჭულაძეს მოქიამ, როცა ორივე მათგანს ერთად ბურჭულაძის სამუშაო კაბინეტში შევხვდით.

–„იყო კვორუმი, გავრცელებული ინფომაცია არ შეესაბამება სინამდვილეს" –თქვა ბურჭულაძემ.

რაც შეეხება ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს, ისინი ჯერ გაურკვევლობაში არიან. შეამჩნიეს, რომ კენჭისყრის მომენტში საკრებულოს სხდომათა დარბაზში, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა გვითხრა „სიხალვათე" იყო, მაგრამ არ დაუთვლიათ და შესაბამისად ზუსტად არ იციან საკრებულოს რამდენმა წევრმა მისცა ხმა ბიუჯეტის დამტკიცებას.

**–ბატონო კახა ბიუჯეტი დამტკიცდა?** ვკითხეთ ფრაქცია ქრიატიან-დემოკრატების ოზურგეთის

▶▶▶ გვ-2

# საქართველოს პრეზიდენტმა რეგიონალური მომსახურების სამედიცინო ცენტრი გახსნა




რგეთელს ჩამოართვა ხელი და საქებარი სიტყვებიც მოისმინა. მათგან განსაკუთრებული პათოსით ოზურგეთის კულტურის ცენტრის დირექტორის კობა ბანძელაძის და ბახვის საჯარო სკოლის დირექტორის მზია ვაშალომიძის სიტყვა გამოირჩეოდა. ამ მომენტში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრის მარინა სუნგულიას რამდენჯერმე წამოძახილი ,,პოლიხრონიონ!" გავიგონეთ.

პრეზიდენტმა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ ანდრია ურუშაძესთან, რეგიონალური და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან, გურიის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილთან და შპს ,,ავერსის"გენერალურ დირექტორ პაატა კურტანიძესთან ერთად ახალი კლინიკა დაათვალიერა.

კლინიკის დათვალიერების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ხალხს მიმართა:

**– მადლობის გარდა, მინდა გითხრათ, რომ ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც მე გამახარეთ დღეს. თქვენი გაბრწყინებული თვალებით, თქვენი ენთუზიაზმით, თქვენი გამოუსწორებელი, განსაკუთრებული გურული ოპტიმიზმით, განსაკუთრებული გვერდში დგომით, განსაკუთრებული სტუმარმასპინძლობით. უნდა ვთქვა, რომ ეს საავადმყოფო ჩემთვისაც მხოლოდ საავადმყოფო არ არის – ჩემთვის არის ოცნების შესრულება... გურია იმსახურებს წარმოუდგენელ რაღაცეებს. პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ ცხოვრობს ძალიან, ძალიან მაგარი ხალხი, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, როგორებიც საერთოდ მსოფლიო მასშტაბით შეხვედრია და არა მარტო საქართველოში. მეორე – გურიას აქვს ყველაფერი, გურიას აქვს ზღვა, გურიას აქვს წარმოუდგენელი, თვალისმომჭრელი მთა, გურიას აქვს მშვენიერი კლიმატი, მცირემიწიანია, მაგრამ ის მიწა ძალიან მაგარია; გურიას ჰყავს ეს ბავშვები და ესენი არიან ყველაფერი. აღმოსავლეთ საქართველოში კახეთზე არის აქცენტი მომავალ წელს, დასავლეთ საქართველოში ეს იქნება ჩემთვის გურიის წელიწადი, წელიწადი, როდესაც გურია ყველამ უნდა წამოვაყენოთ ფეხზე. ჩვენ ვქმნით გურიის აღორძინების ფონდს, საპრეზიდენტო ფონდს, რომელსაც მინდა სათავეში ჩავუყენო რამაზ ნიკოლაიშვილი, მაგრამ მე ვუხელმძღვანელებ ამას, რამაზთან ერთად. ჩვენი ამოცანაა, რომ მომავალ წელს გურიაში არ იყოს ცუდი გზა. აი, თუნდაც ასეთი გზები, ახლა რომ ვნახე, ხვრელებიანი, ჩაბარდება წარსულს; არ უნდა იყოს არც ერთი ოჯახი, სადაც არ იქნება შესული გაზი, სადაც არ იქნება გამრიცხველიანება, ყველგან უნდა იყოს გამთბარი და განათებული სახლები; არ იყოს არც ერთი სოფელი, სადაც არ დაიწყება წყალმომარაგების სისტემის მოგვარება. ისე კი არა, როდესაც სისხლი გაგვიწამეს იმ კომპანიებმა, მაგრამ მაინც გავაკეთებინეთ და მივიყვანეთ ბოლომდე; არ უნდა დარჩეს არც ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელსაც არ ექნება ჯანდაცვის პაკეტი, რომელსაც არ ექნება სოციალური დახმარება.**

**და რაც მთავარია, ასევე ჩემთვის, მომავალ წელს კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ ბათუმის, ანაკლიის სასწაულზე, არამედ უნდა გაკეთდეს ურეკის სანაპირო, იმიტომ, რომ ურეკი განსაკუთრებულია და ურეკს კარგა ხანია მოაკლდა ხელი. გვირგვინი ამ ყველაფრისა იქნება მომავალ ზაფხულში. ყველას გპატიჟებთ ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში, ბახმაროობაზე, იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ბახმაროობა კი არ იქნება, ეს იქნება ბახმარო, ზაფხულის საქართველოს მთის თვალწარმტაცი კურორტი. ასე რომ, მეგობრებო, ბევრი რამ გაკეთდა – ჩვენ დავამარცხეთ აქ კრიმინალი, ჩვენ დავამარცხეთ უშუქობა, ჩვენ დავიწყეთ უგზოობის ამოძირკვა, მაგრამ მთავარი არის წინ. მე მაქვს განცდა, რომ ბევრად მეტი უნდა გაკეთებულიყო აქამდე, ასჯერ მეტი არის გასაკეთებელი. ასე რომ, რამაზ ნიკოლაიშვილი ადრე თუ გურიას ახმარდა მისი ენერგიის 20 პროცენტს, 80-ს კი საქართველოს, ახლა მოდით, გურიას მოახმაროს 80 პროცენტი. იმდენი ენერგია აქვს, რომ დარჩენილი 20 პროცენტი საქართველოს ეყოფა.**

**სოფლის მეურნეობის პროგრამები, განათლების სფეროში პროგრამები, სპორტის სფეროში პროგრამები, სტადიონები, გაუკეთებლები აღარ უნდა დარჩეს აქ. რაღაც სპორტდარბაზები გაკეთდა, მაგრამ კიდევ უნდა გაკეთდეს, ყველა სკოლა უნდა შეიღებოს და გარემონტდეს. ერთი სიტყვით, აქ ცხოვრება უნდა იყოს ყველაზე მაგარი სტანდარტის. საავადმყოფო გვაქვს ისეთი, რომ ჰოლანდიაშიც არ არის ასეთი... ცხოვრება გვექნება ისეთი, როგორც მაგარ ევროპულ ქვეყნებში, გზები გვექნება ისეთი, როგორიც არის ევროპულ ქვეყნებში. განათლებაც უნდა იყოს ყველაზე მაგარი. აქ ისეთი მასწავლებლები ჰყავთ... წელან გამოვიარე და ჩავხედე თვალებში. ცოტა ხელი შევუწყოთ ამ მასწავლებლებს და მსოფლიოში ყველაზე მაგარ განათლებას მისცემენ ჩვენს ბავშვებს, ცოტა მეტად გადავამზადოთ, ცოტა მეტი ხელფასი მივცეთ, გამოცდები ჩავაბარებინოთ, სერთიფიცირება გავატარებინოთ და ნახეთ, რა მაგრად გაუმჯობესდება აქაც სწავლის დონე.**

**ეს არის განსაკუთრებული რეგიონი საქართველოს, რომელსაც აქვს ყველაფერი. მთავარი რამე სჭირდება – ბევრად უფრო კარგი ცხოვრება და ჩვენ აქ შევქმნით ბევრად კარგ ცხოვრებას, ჩვენ დავამთავრებთ გაჭირვებას და ჩვენ დავიწყებთ გამდიდრებას. ამაში ვარ დარწმუნებული!** –თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

იმის გამო, რომ ადგილობრივი ჟურნალისტები არ ვიყავით მიწვეული კლინიკის გახსნაზე, ბუნებრივია არც პრეზიდენტის ვიზიტის მომდევნო გრაფიკს ვიცნობდით. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოზურგეთში, გამგეობაში თათბირი ჩაატარა, ზვიად გამსახურდიას მოედანზე, იუსტიციის სახლის მშენებლობა მოინახულა, სპორტის განვითარების ცენტრს ეწვია. შემდეგ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის მიერ აგებულ ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინებინების საკათედრო ტაძარში შევიდა, სადაც იგი შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იოსებმა დალოცა.

პრეზიდენტის ვიზიტი რესტორან ,,ქალაქურში"დასრულდა.

# ანდრია ურუშაძე: „ხელმისაწვდომობა და პროფესიონალიზმი, ეს ორი გამოწვევა დგას დღეს ჯანდაცვის წინაშე".

**გაზეთი „ალიონი"**




ოზურგეთში დღეს გავხსენით რეგიონული მომსახურების სამედიცინო ცენტრი. იგი არის ტომოგრაფიული მომსახურებით, ნებისმიერი ლაბორატორიული გამოკვლევით. არის სამეანო და ქირურგიული საოპერაციოები. ეს კლინიკა არ არის მარტო სამკურნალო, ის არის სასწავლო დაწესებულებაც რეზიდენტებისათვის. საქართველოში გახსნილი ყველა ახალი კლინიკა არის სასწავლო ადგილი მათი დაოსტატებისათვის, პროფესიული განვითარებისათვის, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ.

ხელმისაწვდომობა და პროფესიონალიზმი, ეს ორი გამოწვევა დგას დღეს ჯანდაცვის

# „ამ კლინიკაში მაქსიმალურად გვაქვს გაფართოებული მომსახურების ცენტრი"

**გაზეთი „ალიონი"**



გაზეთი ,,ალიონი" პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ შპს ,,ავერსის"გენერალურ დირექტორს პაატა კურტანიძეს შეხვდა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურებაზე და კლინიკის სერვისებზე დაუსვა შეკითხვა. პაატა კურტანიძემ გვიპასუხა:

—სოციალურად დაუცველ მოსახლეობას სახელმწიფოსაგან შესაბამისი დაზღვევა აქვს, რეგიონში სადაზღვევო კომპანია არის ,,ალფა" და სოციალურად დაუცველები არ იხდიან არაფერს. ახალი კლინიკის ფასები იქნება ხელმისაწვდომი. აქ არ იქნება ისეთი ფასები, როგორიცაა თბილისში.

ამ კლინიკაში მაქსიმალურად გვაქვს გაფართოებული გვაქვს მომსახურების სპექტრი, დაწყებული რენტგენით. მოგეხსენებათ, ძველ საავადმყოფოში რენტგენი 1954 წელს იყო შეძენილი, ჩვენ 250 ათას დოლარად შევიძინეთ ახალი, რომელიც არის იაპონური. დავაყენეთ ,,ჯენერალ მოტორსის"ფირმის ამერიკული კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი, გვაქვს ,,ფილიპსის" ექოსკოპის აპარატი და ა.შ. აქ შეიძლება როგორც ზოგადი, ისე კარდიოლოგიური და ნეიროქირურგიული ოპერაციების ჩატარებაც. ჩვენ ოზურგეთში გამოცდილი ქირურგები გვყავს, მაგრამ კლინიკას სპეციალურად დავამატეთ ერთი სართული სასტუმროსათვის, სადაც საჭიროების შემთხვევაში ჩამოყვანილი სპეციალისტები განთავსება.

ეს ,,ავერსის" მე-14 კლინიკაა საქართველოში.

# დამტკიცებულია თუ არა ოზურგეთის ბიუჯეტი?

ორგანიზაციის ხელმძღვანელის, კახა ღლონტს.

— კი, მართალია ჩვენ არ მივეცით ხმა, მაგრამ ბიუჯეტი დამტკიცდა.

**— თუ იცით ზუსტად რამდენმა ადამიანმა დაუჭირა ბიუჯეტს მხარი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მხოლოდ 18 დეპუტატმა მისცა ხმა ბიუჯეტის დამტკიცებას.**

-ზუსტად არ ვიცი, არ დამითვლია. სხდომა რომ დაიწყო საკმაოდ ბევრი ესწრებოდა. შემდეგ თანდათან გავიდნენ სხდომიდან. დარბაზი შეთხელდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რამდენმა დეპუტატმა მისცა ხმა ბიუჯეტის დამტკიცებას.

**—თქვენ რატომ არ მიეცით ხმა ბიუჯეტის დამტკიცებას?**

— გვქონდა შენიშვნები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ წერილობით მოვაწოდეთ სრული წესის დაცვით. შენიშვნები ეხებოდა თანხის გამოყოფას ტუბერკულიოზით დაავადებულთა, ონკოლოგიურ ავადმყოფთა, საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლთა ოჯახებისთვის და საერთო სარგებლობის ეზოების დასუფთავებისთვის თანხების გამოყოფას. ასევე ვითხოვდით უფასო სასადილოსთვის დაფინანსების გაზრდას. ამჟამად 75 000 ლარია გამოყოფილი 125 ბენეფიციარისთვის რაც ჩვენი აზრით არ არის საკმარისი—გვითხრა ღლონტმა.

ბიუჯეტის დამტკიცებას არც ,,თავისუფალი დემოკრატების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ სალუქვაძემ დაუჭირა მხარი. ზუსტი პასუხი იმაზე, დამტკიცდა თუ არა ბიუჯეტი არც მას აქვს, მან არ იცის ზუსტი რიცხვი ხმის მიმცემთა.

—,,ალეკო მამეშვილი ამბობდა, რომ კენჭისყრაში 22 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა, აქედან ოთხმა ხმა არ მივეცით"— გვითხრა მან.

სხდომას საერთოდ არ ესწრებოდნენ კიდევ ერთი ოპოზიციური პარტიის ,,სამართლიანი საქართველოსათვის" ოზურგეთის ორგანიზაციი ხელმძღვანელი, ლელა ნაცვალაძე და არასამთავრობო ორგანიზაციები.

# მსჯელობა ბახვი ჰესის მშენებლობის გარშემო




მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში, ხელისუფლების და საზოგადოების მონაწილეობით ბახვი ჰესის კასკადის მშენებლობის პროექტების გარშემო მსჯელობა გაიმართა. პროექტის გარშემო შპს ,,ჯორჯიან ჰაირდო ფაუერ"—ის გენერალურმა დირექტორმა შამილ ბირკაძემ, ,,ქეიჯი ენერგოს" წარმომადგენელმა ვახტანგ ღონღაძემ და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსმა ლევან ჯანაშვილმა ისაუბრეს.

წამოიჭრა საკითხები კასკადის მშენებლობის როგორც დადებითი, ისე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ. (ამ თემაზე ვრცელ მასალას გაზეთ ,,ალიონის" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

# საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ დაფუძნდა

.როგორც იცით, 10 დეკემბერს, ქ. თბილისში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“დაფუძნდა. მასში გურიის რეგიონიდან რიგი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, აქტივისტი და სპეციალურად მიწვეული პირებიც ესწრებოდნენ. ჩვენ ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ ოზურგეთის საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატ ლელა ნაცვალაძეს და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძეს;



**ლელა ნაცვალაძე:** —ყველა მხარეში იქნება „ქართული ოცნების“ როგორც რეგიონული, ისე რაიონული ორგანიზაციები. საარჩევნოდ კი, მოძრაობა გაერთიანდება იმ პარტიებთან, ვინც ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა. ესენია რესპუბლიკური პარტია და „თავისუფალი დემოკრატები.“ ესენი ერთ ბლოკად გაერთიანდებიან. ის, რომ მათთან არ გაერთიანდებიან სხვები, ეს თემა არ არის დასრულებული. ბუნებრივია, მათთან იქნებიან სხვა მხარდამჭერებიც.



**ტიფო მიქატაძე:** —საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ დაფუძნდა. სადამფუძნებლო ყრილობა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ამ ყრილობამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზს გარდა მხარდამჭერებით იყო გადაჭედილი ფილარმონიის ფოე და ათასობით ადამიანი ფილარმონიის წინ დიდ მონიტორზე აკვირდებოდა ყრილობის მსვლელობას.

მხარდამჭერთა ასეთი აქტივობა სრულიად არ არის გასაკვირი, რადგან ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში მათ დიდ იმედებს უკავშირდება. შეხვედრას ესწრებოდნენ ბიძინა ივანიშვილის მოზრაობის პარტნიორი პოლიტიკური პარტიების, საზოგადოების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოწვეული სტუმრები.

გარკვეული მკვეთრი, ზუსტი მესიჯები გაცხადდა თავად საზოგადოებრივი მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რასაც დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა და მიესალმა. შეხვედრაზე დარიგებული იქნა ლიფლეტები, სადაც კონკრეტულადაა გაწერილი მოძრაობის მიზნები, სამუშაო გეგმა, მისი თემატური თუ რეგიონალური სტრუქტურების განვითარების პერსპექტივები, მთავარი გზავნილები საზოგადოების მიმართ. თემატურმა ჯგუფებმა უკვე დაიწყეს მუშაობა. მე გამოვთქვი სურვილი, ვითანამშრომლო ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის განვითარების და ეკოლოგიის თემატურ ჯგუფში და უკვე მის პირველ სხდომასაც დავესწარი. 2012 წლიდან ეს ჯგუფები უფრო გააქტიურდებიან და მოხდება ცალკეულ სფეროებში არსებული პრობლემების შესწავლა, ეფექტური მოდელების შემუშავება. პარალელურად წავა მუშაობა საზოგადოების რეგიონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე., სადაც მთავარი მიზანი იქნება საზოგადოების აქტიური ჩაბმა საარჩევნო ჯანსაღი გარემოს შექმნისათვის.

ჩემი თვალთახედვით რეგიონალური სტრუქტურების შექმნისას აქცენტი უპარტიო ადამიანებზე გაკეთდება, რომლებიც ამ საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩაერთვებიან. აქ, რიგითი ოზურგეთლები მოვლენ, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ მოძრაობის მიზნების განხორციელებაში.

# „ლიტერატურული აისი“



ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გამგეობამ და ბიბლიოთეკამ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშთა საღამო გამართა. (სცენარის ავტორი მაია თანდილაშვილი).

საღამოს იდეის ავტორი ლევან ლეჟავა და ნატა ჩხაიძე უძღვებოდნენ.

საღამო დაამშვენა ანსამბლ „ლურჯი იალქანის“მონაწილეობამ.

თავიანთი შემოქმედება (მუსიკა, მხატვრობა, ლექსი, ჩანახატი) წარმოადგინეს სამუსიკო სკოლის IV კლასის მოსწავლე ანა ქურდიანმა; სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ნინო და გოგა გორდელაძეებმა, ქრისტინე მუჯირმა; გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის, გურიანთის, ნარუჯის, ჯუმათის, ნაგომრის, №2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მარიამ მეგრელიშვილმა, მარიამ კვირჩილაძემ, მელანო კოჩალიძემ, ანა ჯიშკარიანმა, ნანა მეგრელიშვილმა, გიორგი ტრაპაიძემ.

შეკრებილთ მიესალმნენ პოეტები მზია ვაშალომიძე, თემურ მარშანიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებელი ილია ვაშაყმაძე, ბიბლიოთეკის დირექტორი ლიკა

## ჩვენი მომავალი

# „ლილესთან არასოდეს მოიწყენ“

**ნინო ნიკოლაიშვილი**

ლილე დედამ დამარქვა, სვანურად მზის ამოსვლას ნიშნავსო — ასე გაგვეცნო ლილე სიხარულიძე, №1 საჯარო სკოლის VIII კლასისა და ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლე (მასწავლებელი ავთანდილ თავართქილაძე). დეიდა არის მხატვრობასთან ახლოს, ბაბუაც ასევე იყო, მეც ძალიან მინდოდა სამხატვრო სკოლაში მევლო. როცა შესაბამისი ასაკის გავხდი, მაშინ მიმიღეს კიდეცო,— ემოციით ჰყვება გოგონა და მის საუბარს უსაზღვროდ დიდი ენერგია მოჰყვება თან, მზის ენერგია, მზის ამოსვლის ჟამს რომ აცოცხლებს ყოველივეს. უსმენ მას და ადვილად ეცნობი. მხიარული, უხვმოსაუბრე გოგონაა. მებრძოლი ხასიათი იკითხება მასში. უკანონოდ თავს არავის დავაჩაგვრინებო — ამბობს კიდეც. ადვილად ახერხებს ადამიანებთან ურთიერთობას, ამიტომაც დიდია მისი სანაცნობო წრე. მეგობრებიც მრავლად ჰყავს, გამორჩეულად რამდენიმე ყოფილა მათ შორის გულითადი მეგობარი.



განწყობის ადამიანია, თუმცა ეს მხოლოდ მის სახელოვნო საქმიანობაში აისახება და არა ადამიანებთან ურთიერთობაში. როცა ენერგია მის სულში ფერებს წამოშლის, ფერთა გამაში ადამიანთა სილუეტები იკვეთებიან, ხანაც სამყარო გაიშლება მრავალსახოვანი. ნაწილობრივ ჩაიხარჯება თავის ნახატებში. ძირითადად სამოდელო სფეროში სურს შესაძლებლობების მოსინჯვა. მხატვარდიზაინერის პროფესიაზე ოცნებობს. მოდელთა სახეებს ქმნის. მის ჩანახატებსა თუ ნახატებში ტანსაცმელთან ერთად აქსესუარები და ხშირად ვარცხნილობებიცაა წარმოდგენილი. არაერთხელ დაჯილდოებულა ლილე სპეციალური სიგელებითა და დიპლომებით. მოვლენები, რომლებიც მის სულში დადებითი, თუ უარყოფითი ემოციით აისახება, არანაკლებ საინტერესოდ იხატებიან. მათ შორის იაპონიის სტიქია. ორიგინალურად გადმოსცა ლილემ ძლიერი ქვეყნისა და სტიქიის ჭიდილი, და ისიც,— თუკი ადამიანი მოინდომებს, შეუძლია ბევრს მიაღწიოს და წინააღმდეგობებიც დასძლიოს. თვლის, რომ მიზანდასახულია, თუმცა მეტი რომ უნდა იშრომოს, ამაზეც ფიქრობს. — ბევრი ნახატი მაქვს დაუსრულებელი, ეს ჩემი ნაკლია და მინდა გამოვასწორო. როგორც ჩანს, ხელოვნებისთვის მიკლებულ დროს ის ადამიანებთან ურთიერთობებს უმატებს და თვლის, რომ ეს მის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ცდილობს მხიარული განწყობა შეუქმნას ირგვლივ მყოფთ და ახერხებს კიდეც. — ხშირად ჩავრეულვარ მეგობართა ცხოვრებაში, როცა ეს მათ სჭირდებათ. ხშირად მიკამათია მათ გამო და ყოველთვის დამიმტკიცებია სიმართლე.

—არასოდეს მოგიხდია ბოდიში მოპირდაპირე მხარისთვის?

— კი, თუმცა იშვიათად;

— რატომ იშვიათად, თუ მართალი არ ხარ, არ შეგიძლია ამისი აღიარება?

— როგორ არა, ეს გამიკეთებია კიდეც, მაგრამ თუ ვინმეს ჩემს მიერ მოხდილი ბოდიში გაადიდგულებს და ზემოდან გადმოახედებს, ნახეთ, რა მაგარი ვარო, ასეთს არასოდეს მოვუხდი ბოდიშს.

— არასოდეს შემცდარხარ მეგობრების არჩევაში?

—შევმცდარვარ, მიმნდობიც ვარ, თუმცა პატიებაც შემიძლია, მაგრამ მათთან ურთიერთობებისას სიფრთხილეს ვიჩენ. გოგონა ცდილობს ყველა მდგომარეობაში ნახოს გამოსავალი, და ეს, მას ცხოვრებაში ეხმარება. საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენისას დღიურებსაც წერს.. მის ცხოვრებაში უდიდესი სევდის კვალი საყვარელი ბაბუის (დედის მხრიდან) გარდაცვალებას გაუვლია. ლექსებსაც წერს, ოღონდ იშვიათად.

მომღერლებში ყველაზე ძალიან ჯექსონი მოსწონდა, ქართველ მომღერლებში ჯგუფ „მგზავრებს“ უსმენს. დიზაინერებში ავთანდილ ცქვიტინიძე მოსწონს. სწავლის გაგრძელებას უცხოეთში ფიქრობს. აქვს აქაური გეგმებიც და მეგობართან ერთად ფიქრობს პატარა პროექტის განხორციელებას.

ჩვენს საუბარს ლილეს ერთ-ერთი მეგობარი ქეთი შემოუერთდა. ქეთიმ ღიმილით გადახედა მეგობარს და გვითხრა — ლილესთან არასოდეს მოიწყენ!

# „ყველა ანსამბლს თავისი ხელწერა და მნიშვნელობა აქვს“




ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ - სურათების გალერეაში გაიმართა, ანსამბლ „სალაღობოს“ (აბჯარი) შემოქმედებითი საღამო (ხელ-ლი ჯემალ ჭელიძე). სიმღერის სიყვარულმა სხვადასხვა პროფესიის ცხრა ადამიანი გააერთიანა, აი ისინიც: როზა დოლიძე, ჯემალ დოლიძე, შოთა გოგუაძე, ოთარ მამალაძე, კარლო თავართქილაძე, ვახტანგ მარგალიტაძე, მურად ლორია, თეიმურაზ გორდელაძე, ჯემალ ჭელიძე. ანსამბლი 2005 წელს შეიქმნა ვასო ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. შემდეგ შოთა გოგუაძე ჩაუდგა სათავეში, 2010 წლიდან კი ჯემალ ჭელიძე ხელმძღვანელობს.

„სალაღობო“ ერთადერთი ანსამბლია ოზურგეთში, რომელიც ხალხურ საკრავებთან ერთად წარმოადგენს ხალხურ თუ ქალაქურ სიმღერებს. ჩონგურის, ფანდურის, კონტრაბასის თანხლებით საღამოზე 13 სიმღერა შესრულდა. მათ შორის მიხეილ შავიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, გიორგი სალუქვაძის, შუშური თავართქილაძის და სხვათა მიერ აღდგენილი და დამუშავებული სიმღერები. მიმდინარე წელში ანსამბლმა არაერთი კონცერტი გამართა სკოლებში, სხვადასხვა ორგანიზაციაში, მათ შორის ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრში.

—ჩვენი მიზანია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაცია, გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა. მათი მუშაობა გართულდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა კულტურის ცენტრის დაწვის გამო, დაიწვა მუსიკალური ინსტრუმენტები. ამჟამინდელი ინსტრუმენტებიდან ნაწილი, თავად წევრებმა შეიძინეს, ნაწილიც ითხოვეს და კვლავ მოხერხდა მუშაობის გაგრძელება. ანსამბლი წინა წლის ბიუჯეტის დაფინანსებაში ვერ მოვხდა, ის მხოლოდ საგრანტო პროექტით მინიმალური ანაზღაურებით დაფინანსდა. გაურკვეველია მომავალი წლის მდგომარეობაც. იმდენად დიდია და ამოუწურავი ქართული სასიმღერო ფოლკლორული საგანძური და მისი რეპერტუარი, მას ვერც ერთი და ვერც ათი ანსამბლი ვერ გაწვდება. ყველა ანსამბლს თავისი ხელწერა და მნიშვნელობა აქვს, რისი დაკარგვაც დიდი დანაკლისი იქნება ჩვენს სინამდვილეში, აღინიშნა დარბაზში და ანსამბლ „სალაღობოს“ შემოქმედებითი მუშაობის სილაღე და წარმატებები უსურვეს.

# ქალთა კლუბის შეხვედრა



კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის წევრებმა მომავალი შეხვედრების გეგმები შეიმუშავეს. ფონდის სტუმრები გულნარა ლაკერბაია, მანანა ლეშკაშელი ოზურგეთის ლიდერ ქალებთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილსა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მოისმინეს მათი შეხედულებები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ. კლუბში შეიქმნა ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი იმუშავებს არსებული პრობლემების, მათი ადვოკატირებისა და ლობირების შესახებ, და მეორე, სხვადასხვა პარტიასთან მათ თანამშრომლობაზე, რათა მეტ ქალს გაუჩნდეს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.

**იყიდება**

**ოროთახიანი ბინა. მისამართი:**
ქ. ოზურგეთი,
მალაზონიას ქ. №8.
ბინა 11.
**ტელ: (555) 667613**
**(იკითხეთ ქეთინო).**

# აი რა მოხდა სინამდვილეში ანასეულის ინსტიტუტში

**პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ გამოაქვეყნოთ აღნიშნული წერილი.**

ის, რაც მოხდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში (ოზურგეთი, ანასეული) და რასაც ინსტიტუტის დირექტორი ბატ. თ. რევიშვილი ,,ოპტიმიზაციას" უწოდებს, ეს არის სუბტროპიკული მეურნეობის აღორძინების საფუძველთა საფუძვლის—სამეცნიერო პოტენციალის განადგურება.

ვინ ხელმძღვანელობს ყოველივე ამას, დღემდე გაურკვეველია— აგრარული ფონდი, აგრარული უნივერსიტეტი თუ ინსტიტუტი. მაგრამ ვინც უნდა ხელმძღვანელობდეს აღნიშნულ ,,ოპტიმიზაციას", აშკარაა, რომ ავტორებმა თავი ვერ გაართვა სუბტროპიკული დარგის ერთ-ერთი უძლიერესი ინსტიტუტის რეფორმას. იმის მაგივრად, რომ დარგის აღორძინების მიზნით გამოყენებულიყო ინსტიტუტში დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება და ინტელექტი, ქუჩაში გაუშვეს მაღალკვალიფიციური მეცნიერები, გამომგონებლები — ასაკოვანნი, და პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით იმუშავებდნენ მსოფლიოს ნებისმიერი დონის სამეცნიერო დაწესებულებაში.

ჩაი კარგა ხანია მონოკულტურა აღარ არის დასავლეთ საქართველოში, მისი ფართობები მასიურად ჩაანაცვლა თხილმა, სიმინდმა, სხვა კულტურებმა. მიუხედავად ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი შემცირებისა, მოსახლეობის სიღარიბის დაძლევა ჯერ კიდევ შორს არის. ამასთანავე ჩვენთვის ნათელია, რომ საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობას, მათ შორის ჩაის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ჰქონდეს ის ადგილი და სახე, როგორიც მას ჰქონდა 1990 წლამდე. სუბტროპიკული მეურნეობის მალიმიტირებელ, დომინანტ ფაქტორად მივიჩნევთ საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების პირობებს. ამავე დროს ჩაის დარგის პოტენციალი საქართველოსთვის ეხლაც მნიშვნელოვანია, თუ კი მოხდება დარჩენილი ფართობების აღდგენა-რეაბილიტაცია, განახლება. საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან კერძო ბიზნესის დაინტერესება ინვესტიციების ჩადებით ჩაის დარგში, რომელიც მართალია რთული და ძვირადღირებული ბიზნესია, მაგრამ, მაღალი მოგების მოტანა შეუძლია. ამ დარგზე მიბმული იყო საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამჟამად მეზობელ თურქეთში გადადის პურის ფულის საშოვნელად და იქ მონურ შრომას ეწევა.

საქართველო ამჟამად 2.0 ათას ტონამდე ჩაის მოიხმარს წელიწადში, რომელიც ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოსული პროდუქციაა, საეჭვო წარმოშობის და დაბალი ხარისხის. რატომ არ უნდა ვაწარმოოთ ქვეყნის მოსახლეობისთვის საკუთარი ჩაი, რომელიც როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩაის პროდუქტებს შორის გამოირჩევა როგორც ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა. ამავე დროს ქართულ ჩაის აქვს პოტენციალი გახდეს საუკეთესო საექსპორტო პროდუქტი. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო მასშტაბებით იწარმოებოდა ისეთი ჩაის პროდუქცია (მცირე პარტიების სახით ამჟამადაც იწარმოება), რომელიც თავისი ხარისხით კარგ ინდურ ჩაის უტოლდებოდა. უფრო მეტიც, თავისი ნაზი ბუკეტითა და გემოთი ბევრი მას საუკეთესოდ მიიჩნევდა.

ნედლეულის რაოდენობის ზრდასა და მის ბაზაზე ორდენებს დასწრაფებულმა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მთლიანად მოშალა ჩაის დარგი საქართველოში. ამას დაერთო შემდგომში ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა და ,,ვაი სპეციალისტთა" არასწორი მიდგომა , როცა ჩაის კულტურა ,,კოლონიალურ" კულტურად გამოცხადდა, აგრეთვე ქვეყანაში გამეფებული ქაოსი და უკონტროლობა, ტრადიციული ბაზრის დაკარგვა. ამას დაემატა დარგის უნიათო და არასწორი ხელმძღვანელობა და შედეგად განადგურდა პლანტაციები, გაიძარცვა და განადგურდა გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები.

ჩვენი თვალსაზრისით, უნდა გატარდეს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე 80-90%-ს დაიკავებს სამამულო ჩაის პროდუქცია. . ამის წინა პირობებია:

–1კგ ჩაის საცალო ფასი საქართველოში ამჟამად 43–44ლარია, ხოლო საბითუმო ფასი 15-25 ლარი, რაც საკმარისია ნორმალური კვლავწარმოებისათვის;

– სამამულო წარმოების მაღალხარისხოვანი ჩაი არ ჩამოუვარდება ნებისმიერ იმპორტულს, ამასთანავე ქართული ჩაის პროდუქცია ეკოლოგიური თვალსაზრისით ბევრად უფრო საიმედოა;

– ინდივიდუალური მწარმოებლები (რომელთა დიდი ნაწილი არალეგალიზებულია), ორიენტირებულნი არიან მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებაზე. – ინსტიტუტში შემუშავებულია ახალი პროგრესული ტექნოლოგიები, რომელთა დანერგვა მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან არის დაკავშირებული;

– ჩაის წარმოებას და მოხმარებას მსოფლიოში მზარდი ტენდენცია აქვს; ჩაის წარმოება დაიწყო ისეთმა ქვეყნებმა, რომლებიც ჩაის არასდროს მოიხმარდნენ;

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული ჩაის მწარმოებლები, რომლებიც ათეულობით ჰა პლანტაციას ფლობენ ძირითადად დაბალფასიან პროდუქციას აწარმოებენ (ცნობილია მიზეზებიც), რაც საზოგადოებრივი ეფექტიანობის თვალსაზრისით მიუღებელია.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს სუბტროპიკები არაა იდეალური ზოგიერთი სუბტროპიკული კულტურის განვითარებისათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირში ამ მხრივ ჩვენ უპირატესობა გვქონდა სხვა რეგიონებთან შედარებით. ამიტომ სუბტროპიკული კულტურების პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, ჩვენი პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენებოდა. შესაბამისად იყო განვითარებული სამეცნიერო კვლევაც, რომელშიც წამყვან როლს ასრულებდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დარგი კონკურენტულ გარემოში მოხვდა, რის გამოც საჭირო იყო მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ დონეზე მისი განვითარების სტრატეგიის ძირეული შეცვლა. მაგრამ ეს არ მოხდა. კვლევითი ინსტიტუტი საცდელი ნაკვეთებისა და მნიშვნელოვანი ობიექტების, მატერიალურ-ფინანსური რესურსების გარეშე დარჩა, რამაც შეასუსტა მეცნიერული კვლევები და მეჩაიეობის განვითარებისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი 17 მლნ ლარი მნიშვნელოვანწილად ფუჭად დაიხარჯა.

ამჟამად დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობიდან შემოსავლები წლიურად 170–180 მლნ ლარს შეადგენს. პოტენციალი კი რამდენ-ჯერმე მეტია. ჩაის დარგში პარადოქსული სიტუაციაა – შემოგვაქვს 800 ტონამდე ჩაის პროდუქტი– 4,5–5 მლნ დოლარად, გაგვაქვს – 1,5–2,5 ათასი ტონა – 2-2,5 მლნ დოლარად, ანუ სავაჭრო დეფიციტი 2-3 მლნ დოლარს შეადგენს. მაშინ როცა მიკრო და მაკრო დონეზე სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით მოკლე დროში შეიძლება დადებითი სალდოს მიღება და მწარმოებელთა შემოსავლების 4-5-ჯერ გადიდება (შესაბამის სამსახურებს დამუშავებული გვაქვს განხორციელების გზები).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სუბტროპიკული კულტურების პროდუქციას ახალ პირობებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის შემოსავლებში. უფრო მეტიც, აშკარად გამოიკვეთა, რომ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ჩაის ვერც ერთი სხვა კულტურა ვერ ჩაანაცვლებს მთლინად დასავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის. პოტენციალის სრულად გამოყენება და მისი რამდენჯერმე გადიდება შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული მიღწევების გამოყენებით, რასაც სრულყოფილად ფლობს ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და რისთვისაც სხვა ფაქტორებთან ერთად საჭიროა ინსტიტუტის რეფორმაც.

მოგეხსენებათ, რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის რეფორმატორები კარგად უნდა ხედავდნენ დარგის განვითარების მიმართულებებს და პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ეკისრება მეცნიერებს. ცნობილია, თვითგანახლების უნარი ამ დროს ყველაზე ეფექტურია, მაგრამ მიზეზთა გამო ეს უნარი ჩვენს საზოგადოებაში ატროფირებულია. ამიტომ რეფორმები ზემოდან ან გარე ძალებით ხდება. მაგრამ ეს არ უნდა გამორიცხავდეს მის ჩატარებას კოლექტივის აქტიური მონაწილეობით, წინაამდეგ შემთხვევაში აბსურდულ შედეგებს მივიღებთ. სწორედ ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაში აგრარულ უნივერსიტეტთან ინსტიტუტის შეერთების შემდეგ ჩატარებული ატესტაციის დროს 2011 წლის აგვისტოში.

აი როგორ გამოიყურება ინსტიტუტის ,,ოპტიმიზაციის" ჩატარების პროცესი:

– კომისიის შემადგენლობა შექმნილი იყო დღემდე ჩვენთვის უცნობი თანამდებობის პირთა მიერ. ასევე უცნობია კომისიის წევრების ვინაობა, მათი განათლება, აკადემიური ხარისხი და კომპეტენტურობა. ასეთი მუდმივი შემადგენლობის კომისიამ შეამოწმა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული დარგის სპეციალისტები ტექნიკური თანამშრომლებიდან დაწყებული აკადემიკოსის ჩათვლით (თანაც 14 დარგობრივ ინსტიტუტში) ;

– უცნობია შეფასების სისტემა, კრიტერიუმები; არ ეყრდნობოდნენ CV-ს, როგორც მეცნიერის მოღვაწეობის ამსახველ მოკლე დოკუმენტს;

–კომისიის წევრები აგრესიულად იყვნენ განწყობილი სუბტროპიკული დარგის მიმართ და ამას აშკარად გამოხატავდნენ; ამასთანავე ზოგიერთ მეცნიერს ერთი წინადადების გამოთქმის უფლებასაც არ აძლევდნენ, ზოგიერთს უსმენდნენ ინტერესით და უსვამდნენ შეკითხვებს, თუმცა მათი საბოლოო შეფასება სრულიად არა ადექვატურად გამოიყურება;

– კომისია ზერელედ უდგებოდა ამა თუ იმ მეცნიერის მომზადების დონისა და აქტივობის შეფასებას; არ დაინტერესებულა მათი პროექტებითა და გეგმებით, ბიზნესისა და შედეგების დანერგვით; კომისიამ ვერ შეძლო შეეფასებინა რა პერსპექტივა აქვს ამა თუ იმ ლაბორატორიას კვლევითი მუშაობის გაგრძელებისათვის; არ განუხილავს ამა თუ იმ ლაბორატორიის გაუქმებით, რა ზიანი მიადგებოდა სამეცნიერო დარგის მუშაობას, სხვა ლაბორატორიების ფუნქციონირებას და მათ ოპტიმალურ მომსახურებას სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის.

– გაურკვეველია, რომელი კანონით მიიღო კომისიამ უფლება მეცნიერთათვის ჩამოერთმია ,,ვაკის" მიერ ოფიციალურად მინიჭებული წოდებები – ,,პროფესორის" ან ,,უფროსი მეცნიერ თანამშრომლის";

– ასეთი ,,ოპტიმიზაციის" შედეგად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 05.09.2011 -ის ბრძანებით №04- 01/01- 336 სამსახურიდან გაათავისუფლეს 34 თანამშრომელი, მათ შორის 23 მეცნიერებათა დოქტორი და მეცნიერებათა კანდიდატი, ასაკისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ინსტიტუტში დარჩენილთაგან 21 მეცნიერ თანამშრომელი გადაიყვანეს 0,5 საშტატო ერთეულზე და დაამცირეს ისინი მორალურად და ეკონომიურად, შეიქმნა ინსტიტუტის რაღაც გაუგებარი მოდელი მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის (3) მაღალი ხელფასის გათვალისწინებით. ამასთანავე აშკარად გამოიკვეთა ინსტიტუტის დირექტორის მონაწილეობა ასეთი ,,ოპტიმიზაციის" პროცესში. არაკომპეტენტურობის პირობებში მას შესაძლებლობა მიეცა შური ეძია პოტენციურად მოწინააღმდეგე თანამშრომლებზე, რასაც ,,კადრების გადანაწილება და რამდენიმე თანამშრომლის შემცირება" უწოდა.

–გაუქმდა ყველაზე ძლიერი და მომუშავე ლაბორატორიები, მათ შორის მთლიანად გადამამუშავებელი დარგის, მათ შორის ტექნიკური ბიოქიმიისა და არომატიზაცია-ვიტამინიზირების, აღჭურვილი თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკითა და აპარატურით, ნაწილობრივ სახელმწიფო გრანტის დაფინანსებით შეძენილი. გაურკვეველი მიზეზებით დაითხოვეს მაღალკვალიფიციური მეცნიერები ლაბორატორიის გამგის ჩათვლით. ლაბორატორიის თანამშრომლებს, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერებს, კვლევითი მუშაობა შეაწყვეტინეს პირდაპირ ექსპერიმენტების ჩატარებისას, რითაც უკაცრიელი გახადეს ასეთი მომუშავე ლაბორატორია, მაშინ როცა ლაბორატორიის არც ერთ წევრს გამგის ჩათვლით არ მიუტოვებია კვლევითი მუშაობა მაშინაც კი, როცა ირგვლივ ტყვიის ზუზუნი ისმოდა და ყველაფერი იძარცვებოდა, შეინარჩუნეს სამუშაო პირობები მაშინაც კი, როცა ინსტიტუტში რამდენიმე ადამიანი მიდი-მოდიოდა. მით უმეტეს შემდგომ პერიოდში. ბოლო ხუთ წელიწადში ლაბორატორიაში შესრულდა სწორედ საკანდიდატო დისერტაციები.

– ეკონომიკური კვლევებისა და ინფორმაციის ლაბორატორიიდან გაათავისუფლეს ყველა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი (4), უგულვებელყოფილი იქნა მათემატიკური მოდელების გამოყენების საჭიროება სოფლის მეურნეობაში. ,,ოპტიმიზაციის" ავტორებმა ნათლად აჩვენეს, რომ ვერ გაითავისეს მეცნიერთა როლი სოფლის მეურნეობის აღორძინების ამჟამად მიმდინარე აქტიური პოლიტიკის დროს.

ამასთანავე თუ ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის მუშაობა ასეთ დაბალ დონეს ამჟღავნებს, როგორც ეს ჩატარებულმა ,,ოპტიმიზაციამ" აჩვენა, ეს ხომ სამეცნიერო მუშაობის არასწორი ორგანიზაციის, კადრების არასწორი შერჩევის, მეცნიერებაში გამეფებული სიყალბის, ზერელობის, არაპროფესიონალიზმის შედეგია, რომლის შესახებაც სწორედ ზოგიერთი გათავისუფლებული თანამშრომელი აშკარად გამოხატავდა პროტესტს. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორი (რომელიც ათეული წლის განმავლობაში სამეცნიერო დარგს ხელმძღვანელობდა) განა წახალისებას უნდა იმსახურებდეს? და ასეთი ნიშნისმოგებით საუბრის უფლება უნდა ჰქონდეს გათავისუფლებულ მეცნიერებზე?

ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმა არ უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას და სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, რისთვისაც ეს რეფორმა ჩატარდა.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
**ნ. ორაგველიძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
**გ. ანთაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
**გ. ღლონტი**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
**დ.ნარსია**

**რედაქციისაგან: მეცნიერების აღნიშნული წერილი შაბათს მივიღეთ. ამის გამო რედაქციამ ვერ მოასწრო, წერილზე ინსტიტუტის დირექტორის კომენტარები დაერთო. თუმცა წინა დღეებში ანასეულის ინსტიტუტში ყოფნისას ბატონ თემურ რევიშვილთან ზოგადად ვისაუბრეთ მომავალ პერსპექტივებზე. ინსტიტუტის დირექტორის თქმით, იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ 2012 წლისათვის 25 მილიონ ლარამდე გაზარდა მეცნიერების დაფინანსება, ხოლო სათაო უნივერსიტეტი 2012 წლისათვის საგრანტო კონკურსებს გეგმავს, რომელიც მეცნიერების დაფინასების მთავარი მასაზრდოებელი წყაროა.**

**—მეცნიერები სხვაგანც გრანტებით საზრდოობს,—გვითხრა მან.**

**გაზეთ ,,ალიონის" რედაქცია საჭიროების შემთხვევაში ანასეულის ინსტიტუტის დირექციას პასუხისათვის ანალოგიურ ფართს**

# თემურ აფხაზავას ტურნირზე

ქ. ქუთაისში ჩატარდა თემურ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონების და სომხეთის გუნდები.

კარგად იასპარეზეს ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა. 23, 47, 53 კგ. წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს გიორგი თოხაძემ, დავით და გიორგი ბაკურაძეებმა. (მწვრთნელი დავით მელუა).

II საპრიზო ადგილზე 35 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ჩხაიძე გავიდა (მწვრთნელი ირაკლი ზურაბიანი).

58 კგ. წონით კატეგორიაში III იყო გიორგი გუჯაბიძე (მწვრთნელები დათო მელუა და ანზორ ლომაძე.

გუნდი დააფინანსა ოზურგეთის სპორტსკოლამ.

გაზეთ ,,ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს ზაზა ჯინჭარაძეს მამის **გურამ (ტარიელ) ჯინჭარაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru